
ქართული ფილმები
Georgian Films
2009



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
GEORGIAN NATIONAL FILM CENTER

office@filmcenter.ge
www.filmcenter.ge

რედაქტორი: ქეთევან კიკნაძე
თარგმანი: მარინა გაბუნია
დიზაინი / დაკაბადონება: ოთარ მურაჩაშვილი
ბეჭდვა: “მი-მი-ნო”



ამ ნიშნით აღნიშნულია საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით გადაღებული ფილმები

© საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

Editor: Ketevan Kiknadze
Translation: Marina Gabunia
Design / Layout: Otar Murachashvili
Printed: Mi-Mi-No



Films financially supported by Georgian National Film Center are marked with this symbol

© Georgian National Film Center

სარჩევი

CONTENTS

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები	FULL-LENGTH FEATURE FILMS	4
მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები	SHORT FEATURE FILMS	15
დოკუმენტური ფილმები	DOCUMENTARIES	25
ანიმაციური ფილმები	ANIMATED FILMS	46
ფილმები წარმოების პროცესში	FILMS IN PRODUCTION	56
საძიებლები	INDICES	75
ორგანიზაციები, კავშირები, ფონდები	ORGANIZATIONS, UNIONS, FOUNDATIONS	81
სტუდიები, საპროდიუსერო და ტელეკომპანიები	FILM STUDIOS, PRODUCTION AND TV COMPANIES	83
სასწავლებლები	EDUCATIONAL INSTITUTIONS	90
კინოფესტივალები	FILM FESTIVALS	91
კინოთეატრები	MOVIE THEATRES	92

სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმები
Full-Length Feature Films

გაღმა ნაპირი

12 წლის ბიჭს, რომელიც აფხაზეთიდან დევნილთა თაობას მიეკუთვნება, ცხოვრება მრავალ გამოცდას უმზადებს. სამოქალაქო ომმა ლუკას წაართვა ყველაფერი, რაზეც კი ოდესმე უოცნებია.
ფილმი მოგვითხრობს ლუკას მცდელობაზე, დაიბრუნოს იმედი და რწმენა საკუთარ თავში.



The Other Bank

GAGHMA NAPIRI

There are many obstacles in the life of 12 years old boy, who belongs to the generation, which was subject to mass displacement. The civil war took away everything Luka had ever dreamed of.
The film is about Luka's struggle to regain his hopes.

2009
90 წთ, 35 მმ, ფერადი
რეჟისორი: გიორგი ოვაშვილი
სცენარის ავტორი: ნუგზარ შატაიძე
ადაპტაცია: რუსტამ იბრაგიმბეკოვი, გიორგი ოვაშვილი
ოპერატორი: შაჰრიარ ასადი
მუსიკა: იოსებ ბარდანაშვილი
მხატვარი: მერაბ ჯოხაძე
მონტაჟი: სუნ-მინ კიმი
ხმის რეჟისორი: ვლადიმირ გოლოვნიცკი, ნეზამედინ კიაიე
მონაწილეობენ: თედო ბექაური, გალობა გამბარია, ნიკა ალავჯაევი, თამარ მესხი
პროდიუსერები: გიორგი ოვაშვილი, საინ გაბდულინი

90 MIN, 35 MM, COLOUR
Director: Giorgi Ovashvili
Screenplay: Nugzar Shataidze
Adaptation: Rustam Ibragimbekov, Giorgi Ovashvili
Cinematography: Shahriar Assadi
Cast: Tedo Bekauri, Galoba Gambaria, Nika Alajaev, Tamara Meskhi
Music: Josef Bardanashvili
Production Design: Merab Jokhadze
Editing: Sun-Min Kim
Sound: Nezamedin Kiaie
Producers: Giorgi Ovashvili, Sain Gabdullin, Kino company
Production: George Ovashvili Production (Georgia), KINO Company (Kazakhstan)

Contact: 39, Gorgasali str., app.54
0114 Tbilisi, Georgia
Tel: + 995 99 530282 cell
+995 32 723788
thunder_finder@yahoo.com

გიორგი ოვაშვილი



დაიბადა 1963 წელს. 1986 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, 1996 წელს – საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი.

ფილმოგრაფია: გაღმა ნაპირი (2009); კავშირი (2005, მ/მ); ვინც არ უნდა იყო მანდ (2005, სატელევიზიო მიუზიკლი); მზიური ქვეყნის სერენადა (2004, სატელევიზიო მიუზიკლი); ზღვის დონიდან (2004, მ/მ); მდინარე (2003, დოკ.); მირაჟი (2000, დოკ.); ვაგონეტი (1996, მ/მ); ძალიან პატარა ამბავი (1993, მ/მ)

GIORGI OVASHVILI

Born in 1963. Education: State Polytechnic Institute, department of Mechanics and Machine-Building (1986); Georgian State University of Theatre and Film, specialty - film director (1996).

FILMOGRAPHY: The Other Bank (2009); Connection (2005, short); Whoever You Are (2005, TV musical); The Sunny Country Serenade (2004, TV musical); Eye Level... (2004, short); The River (2003, doc.); Mirage (2000, doc.); The Wagonette (1996, short); A Very Short Story (1993, short)



2009
115 წთ, 4K, ფერადი
რეჟისორი: გიგა აგლაძე
სცენარი: ივა ჭეხაშვილი, ნოდარ კირვალიძე, გიგა გეთიაშვილი
ოპერატორი: თამაზ გოგინაშვილი
მუსიკა: გიგა კუხიანიძე, გიგა აგლაძე
მხატვარი: კოტე ჯაფარიძე
მონტაჟი: მარინა კოლხიდაშვილი
ხმის რეჟისორი: გიორგი ფოფხაძე
მონაწილეობენ: ზაზა ბეჟაშვილი, ნათია ახვლედიანი, ქეთი ციმაკურიძე
პროდიუსერი: გიგა აგლაძე
წარმოება: სლაიდი

115 MIN, 4K, COLOUR
Director: Giga Agladze
Screenplay: Iva Chekhashvili, Nodar Kirvalidze, Giga Getiashvili
Cinematography: Tamaz Goginashvili
Music: Giga Kukhianidze, Giga Agladze
Production design: Kote Japaridze
Editing: Marina Kolkhidashvili
Sound: Giorgi Popkhadze
Cast: Zaza Bezhashvili, Natia Akhvlediani, Keti Tsimakuridze
Producer: Giga Agladze
Production: Slide

გოგონა სლაიდიდან

ფილმის მოქმედება საქართველოს დედაქალაქში ვითარდება. მთავარი გმირი ზუზუ ახალგაზრდა წარმატებული ბიზნესმენია, "იბერია ბიზნესჯგუფის" მფლობელი და ხელმძღვანელი. ზუზუს ახლო ურთიერთობა აქვს სარეკლამო და სამოდელო ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, მათ წრეში ტრიალებს და განებივრებულია ქალების ყურადღებით. თუმცა როგორც ირკვევა, ის რაინდიც არის და სიყვარულის გამო დიდ ავანტიურაზე წასვლა შეუძლია.

Slide Girl

GOGONA SLAIDIDAN

Action of the film takes place in the capital city of Georgia. The film leading character is Zuzu, a young successful businessman, owner and manager of Iberia Business Group. Zuzu has close relationship with advertising and modeling business representatives, he is a part of their circle and the darling of ladies. However, as it turns out, he is a knight and even a big adventurer for the sake of love.



გიგა აგლაძე

დაიბადა 1974 წელს. 1996 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, 2007 წელს — საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი მხატვრული კინოს რეჟისორის სპეციალობით. სხვადასხვა წლებში რეჟისორად მუშაობდა სარეკლამო სააგენტოებში, საქართველოს ტელე-რადიომაუწყებლობის I და II არხზე. 2007-2009 წლებში იყო ჟურნალ „ბომონდის" მთავარი რედაქტორი. 2009 წელს დააარსა კინოკომპანია „სლაიდი".

ფილმოგრაფია: გოგონა სლაიდიდან (2009); ჩემი დღიური (2006, მ/მ); ერთი დღე (2004, მ/მ)

GIGA AGLADZE

Born in 1974. In 1996 he was graduated from the faculty of economics of Tbilisi State University, in 2007 – from the Shota Rustaveli Institute of Drama and Cinema majoring in feature film direction. He has worked as director for advertising agencies and the Georgian TV I and II channel and radio in different years. In 2007-2009 he has been an editor-in-chief of Bomondi magazine. In 2009 he founded Slide film company.

FILMOGRAPHY: Slide Girl (2009); My Diary (2006, short); One Day (2004, short)

თბილისური love story

ფილმი, რომელშიც მსახიობებზე მეტად რეჟისორები ჩანან. 12 რეჟისორის თვალით დანახული ერთი მარტივი თბილისური ამბავი, რომელსაც იწყებს ერთი და ამთავრებს მეთორმეტე რეჟისორი. იცვლებიან რეჟისორები და მსახიობები, იცვლება ჟანრი. რამდენი მსახიობიც არის, იმდენი მთავარი როლია. ფილმში ჩართულნი არიან აგრეთვე სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებიც ქართული საზოგადოების სახეს ქმნიან.

Tbilisi Love Story

TBILISURI LOVE STORY

The film tells more about the directors than the actors. It is a simple Tbilisi story seen by 12 directors, of which the first begins and the 12th ends the film. The directors and actors as well as the genre are changing. All actors are playing leading roles. Representatives of different professions are also involved in the film to create an image of Georgian society.



2009
77 წთ, HD, ფერადი
რეჟისორი: ირაკლი ჩხიკვაძე
სცენარი: გიო მგელაძე
პროექტში მონაწილეობენ რეჟისორები: ვასკა ქართველიშვილი, გიორგი მასხარაშვილი, მიშა აფხაზავა, თორნიკე ბზიავა, გიორგი ლიფონავა, დათუნა ბორჩხაძე, დათო უჯმაჯურიძე, ქეთი მაჭავარიანი, თაკო შავგულიძე, კოტე თაყაიშვილი, ნიკა ახვლედიანი, ნიკა მაჩაიძე
ოპერატორი: სანდრო დარახველიძე
მუსიკა: "როსდრიგესი", 33ა, მიშა ჩიკვილაძე, ნიკა კოჩაროვი
მონტაჟი: ირაკლი ჩხიკვაძე, დათო სვანიძე
პროდიუსერი: ირაკლი ჩხიკვაძე
წარმოება: კონტროლზტუდიო

77 MIN, HD, COLOUR
Director: Irakli Chkhikvadze
Screenplay: Gio Mgeladze
Participants of the project are the following directors: Vaska Kartvelishvili, Giorgi Maskharashvili, Misha Apkhazava, Tornike Bziava, Giorgi Liponava, Datuna Borchkhadze, Dato Ujmajuridze, Keti Machavariani, Tako Shavgulidze, Kote Takaishvili, Nika Akhvlediani, Nika Machaidze
Cinematography: Sandro Darakhvelidze
Music: "Rodriguez", 33a, Misha Chikviladze, Nika Kocharov
Editing: Irakli Chkhikvadze, Dato Svanidze
Producer: Irakli Chkhikvadze
Production: Controlztudio

ირაკლი ჩხიკვაძე



დაიბადა 1977 წელს თბილისში. 1999 წელს დაამთავრა თსუ დაიბადა 1980 წელს თბილისში. 2002 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს ინსტიტუტი. სტაჟიარება გაიარა იტალიის ნაციონალურ ტელევიზიაში (RAI, 2003), DAAD -ის სტიპენდიით სწავლობდა ბრაუნშვაიგის ხელოვნების უნივერსიტეტში (2006-2007). 2006 წლიდან დამოუკიდებელი სტუდიის "კონტროლზტუდიოს" თანადამფუძნებელი და დირექტორია.

ფილმოგრაფია: თბილისური love story (2009); ანაბეჭდი (2005, დოკ.); განკუთვნილია დასანგრევად (2004, მ/მ); შორტები (2000, მ/მ)

IRAKLI CHKHIKVADZE

Born in 1980 in Tbilisi. In 2002 he was graduated from Shota Rustaveli Institute of Theatre and Film of Georgia. He worked on probation in the National TV of Italy (RAI, 2003) and studied in the Braunschweig Art University by DAAD scholarship (2006-2007). He has been a co-founder and director of Controlztudio since 2006.

FILMOGRAPHY: Tbilisi Love Story (2009); Anabechdi (2005, doc.); This Property Is Condemned (2004, short); Shorts (2000, short)



2009
79 წთ, HD / BetaCam, ფერადი — შ/თ
რეჟისორი: შოთა კალანდაძე
სცენარი: შოთა კალანდაძე
ოპერატორი: შოთა კალანდაძე
მხატვარი: შოთა კალანდაძე
მონტაჟი: ლალი კოლხიდაშვილი
მონაწილეობენ: ნანკა კალატოზიშვილი, ლიკა ქავჟარაძე, კახი კავსაძე, მაკა შალიკაშვილი
პროდიუსერი: შოთა კალანდაძე

79 MIN, HD / BETACAM, COLOUR – B/W
Director: Shota Kalandadze
Screenplay: Shota Kalandadze
Cinematography: Shota Kalandadze
Production design: Shota Kalandadze
Editing: Lali Kolkhidashvili
Cast: Nanka Kalatozishvili, Lika Kavzharadze, Kakhi Kavsadze, Maka Shalikashvili
Producer: Shota Kalandadze

Contact:
Mob.: +995 99 57 69 57

კინოლექსები

ტრილოგია “კინოლექსები” სამ ფილმს აერთიანებს: “ერთ ქალაქში”, “ჩემი ფილმების კადრები კოსმოსში” და “ძიება კადრების გადაღებით”. შოთა კალანდაძის ფილმის თემებია: ერთი ნახვით შეყვარება, სექსუალური უმცირესობები, ქალიშვილობის ინსტიტუტი, ახალგაზრდას და ხნიერი ადამიანის სიყვარული, ქალი-ვამპირი და კაცის ღალატი.

Film Verses

KINOLEKSEBI

The trilogy Film Verses unite three films: In the Same Town, The Shots of My Films in the Space and the Search by Shooting. The films by Shota Kalandadze are about the love at first sight, sexual minorities, virginity, the love between youngster and elderly, a lady vampire and infidelity of a man.



შოთა კალანდაძე

დაიბადა 1979 წელს თბილისში. მხატვრობას სწავლობდა ზურაბ ნიჟარაძესთან და ჯემალ შანშიაშვილთან. გადაღებული აქვს მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები: „სიზმრების გაელვება“, „უშვილო“, „საშიში მშვენიერება“, „ამბავი ღალატზე“, „პოეტური ჩანახატები“ და დოკუმენტური ფილმი „ხელოვანთა კადრები“.

SHOTA KALANDADZE

Born in 1979 in Tbilisi. He studied painting with Zurab Nizharadze and Jemal Shanshiashvili. He has made short films Dreams in a Flash, Childless, Dangerous Beauty, Infidelity Story, Poetical Sketches and a documentary of Shots of the Artists.

კონფლიქტის ზონა

თბილისელი გიო და სოხუმელი სნაიპერი სპარტაკა აფხაზეთის ომში გაიცნობენ ერთმანეთს. გიოს და სპარტაკას ქართველი გენერალი დავალებას აძლევს – მათ აზერბაიჯანიდან (ყარაბაღიდან) ჭურვები უნდა ჩამოიტანონ, ჭურვების შესაძენი ფული კი თბილისში მდებარე ნავთობბაზის დირექტორს უნდა გამოართვან. გიო სპარტაკას თავისი მეგობრის, გოგლიკოს მისამართს აძლევს. გიოს თქმით, გოგლიკო შეძლებს მეგზურობა გაუწიოს სპარტაკას და ჭურვების შოვნაში დაეხმაროს.

Zone of Conflict

KONPHLIKTIS ZONA

Gio from Tbilisi and Spartak, a sniper from Sokhumi met each other during the war in Abkhazia. A Georgian general charges Gio and Spartak with bringing shells from Azerbaijan (Karabakh) and take money necessary to buy shells from a manager of petroleum storage depot in Tbilisi. Gio gives Spartak an address of his friend Gogliko who can act as a guide for Spartak and help him to buy the shells.



2009
80 წთ, HD, ფერადი
რეჟისორი: ვანო ბურდული
სცენარი: ირაკლი სოლომონაშვილი
ოპერატორი: გიორგი ბერიძე
მუსიკა: ნიაზ დიასამიძე
მხატვარი: კოტე ჯაფარიძე
მონტაჟი: ნოდარ ნოზაძე
ხმის რეჟისორი: ირაკლი ივანიშვილი
მონაწილეობენ: ზურა ინგოროყვა, მიშა მესხი, ლევან დობორჯგინიძე, ნინი ბადურაშვილი, დათო იაშვილი, სანდრო კაკულია, ნუცა კუხიანიძე, ნატა მურვანიძე
პროდიუსერები: ლევან კორინთელი, არჩილ გელოვანი
წარმოება: დამოუკიდებელი კინოპროექტი

80 MIN, HD, COLOUR
Director: Vano Burduli
Screenplay: Irakli Solomonashvili
Cinematography: Giorgi Beridze
Music: Niaz Diasamidze
Production Design: Kote Japharidze
Editing: Nodar Nozadze
Sound: Irakli Ivanishvili
Cast: Zura Ingorokva, Misha Meskhi, Levan Doborjginidze, Nini Badurashvili, Dato Iashvili, Sandro Kakulia, Nutsa Kukhianidze, Nata Murvanidze
Producers: Levan Korinteli, Archil Gelovani
Production: Independent Film Project

ვანო ბურდული



დაიბადა 1974 წელს თბილისში. საინჟინრო ეკონომიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ 1997 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი სცენარისტის სპეციალობით, ხოლო 2006 წელს მოსკოვში დაამთავრა სცენარისტთა და რეჟისორთა უმაღლესი ორწლიანი კურსები.

ფილმოგრაფია: კონფლიქტის ზონა (2009); გრაფიტი (2006, მ/მ); 105-ე (2004, მ/მ)

VANO BURDULI

Born in 1974 in Tbilisi. Studied Engineering and Economics, in 1997 graduated from Georgian State Institute of Theatre and Film, department of scriptwriters. 2004-2006 in Russian State Institute of Cinematography (VGIK) in Moscow Vano Burduli attended Higher Courses of Scriptwriters and Film Directors.

FIMMOGRAPHY: Zone of Conflict (2009); Graffiti (2006, short); 105th (2004, short)



ორი

რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი რეალობა. 15 წლის ბიჭი ლტოლვილად იქცევა და იძულებული ხდება მთაში წავიდეს საცხოვრებლად ბიძასთან. ბიჭი ახალ გარემოს ძნელად ეგუება და მისი მარტოხელა ბიძა ისევ მარტო რჩება. პარალელურად ვითარდება ახალგაზრდა წყვილის ამბავი, რომელიც შეუღლებას აპირებს. ბიჭი ტაქსის მძღოლია, გოგონა მობილური ტელეფონების მაღაზიაში გამყიდველად მუშაობს. ისინი ცხოვრების გახალისებას ცდილობენ, მაგრამ მათი ყოფა ერთფეროვანი და მძიმე რჩება. ახალგაზრდები ერთმანეთს სცილდებიან.

The Two

ORI

Reality after the war between Russia and Georgia. A 15 years-old boy becomes a refugee and is forced to go for stay to his uncle in a mountainous place. The boy hardly manages to adopt to the new environment and his single uncle is left alone again.
In parallel developes a story of a young couple going to marry. The boy is a taxi driver and the girl is a shop-assistant at a cell-phone store. They try to make life joyous but it remains monotonous and hard. Young couple breaks up.

2009
85 წთ, 35 მმ, ფერადი
რეჟისორი: მიგელ ანხელ ხიმენეს კოლმენარი
სცენარი: ლუის მოია რედრადო
ოპერატორი: გორკა გომეს ანდრეუ
მუსიკა: მიგელ ანხელ ხიმენეს არნაისი
მონტაჟი: იმანოლ გომეს დე სეგურა
მონაწილეობენ: ხათუნა შურღაია, ბექა ქავთარაძე, გიორგი გოგუაძე, ლილი ბურბუთაშვილი, იოანე გეგეჭკორი
პროდიუსერები: ლუის დე ოზა, კოლდო ზუაზუა, ირაკლი ბაღათურია
წარმოება: კინოსკოპიკი (ესპანეთი), სინეტექი (საქართველო)

85 MIN, 35 MM, COLOUR
Director: Miguel Angel Jiménez Colmenar
Screenplay: Luis Moya Redrado
Cinematography: Gorka Gómez Andreu
Music: Miguel Ángel Jiménez Arnaiz
Cast: Khatuna Shurgaia, Beka Kavtaradze, Giorgi Goguadze, Lili Burbutashvili, Ioane Gegechkori
Editing: Imanol Gómez de Segura
Producers: Luis de Oza, Koldo Zuazua, Irakli Baghaturia
Production:
Kinoskopik S.L.L.
Albert Einstein, Ed. CEIA, Of. 1
Vitoria-Gasteiz
Tel +34 610 43 20 58
luis@kinoskopik.com
Co-Production: Cinetech (Georgia)



მიგელ ანხელ ხიმენეს კოლმენარი

დაიბადა 1979 წელს მადრიდში. სწავლობდა იურისპრუდენციას, 1999 წლიდან კი საოპერატორო საქმის შესწავლა დაიწყო. 2001 წელს გადაიღო თავისი პირველი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გას ჩუელლას, რომლის პროდიუსერი აკი კაურისმეკი იყო. მუშაობდა ინდუსტრიული ვიდეოსა და რეკლამის სფეროში. 2007 წელს დააარსა კომპანია „კინოსკოპიკი“.

MIGUEL ÁNGEL JIMÉNEZ COLMENAR

Madrid, 1979. In 1999 he dropped out of his Law degree to study Camera and Film Photography. In 2001 he shot Las huellas, his first short, produced by Aki Kaurismäki. Having worked in industrial video and corporate advertising, in 2007 he founded Kinoskopik S.L.L., and made Días de El Abanico, a documentary, and Ori, his first feature film.

ფილმოგრაფია\FILMOGRAPHY**:** Ori (2009); Días de El Abanico (2007, doc.); Las Huellas (2001,short)

რაც ყველაზე ძალიან გიყვარს

ახალი წლის წინა საღამოს საყიდლებით გართული ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სავაჭრო ცენტრში შვილს, ერთი წლის საბას კარგავს. ლაშა და თეკლა მეგობრებთან ერთად ბავშვის ძებნას იწყებენ, ირგვლივ კი საახალწლო სამზადისი და მხიარული განწყობა სუფევს.



The Thing You Love the Most

RATS QVELAZE DZALIAN GIQVARS

At the New Year's Eve young married couple loses their year-old son Saba in a shopping centre. Lasha and Tekla together with their friends begin to look for the kid in the festive and cheerful atmosphere.

2008
112 წთ, 4K, ფერადი
რეჟისორი: გიორგი ლიფონავა
სცენარი: მიშა მშვილდაძე, ფორმულა კრეატივი
ოპერატორი: გიორგი შველიძე
მუსიკა: არჩილ გულედანი, ბექა ჯაფარიძე, ვახო ბაბუნაშვილი, იაკობ ბობოხიძე
მხატვარი: ვახო კაკულია
მონტაჟი: გიორგი ლიფონავა
ხმის რეჟისორი: ნიკა ფანიაშვილი
მონაწილეობენ: გია ცინაძე, ვანიკო თარხნიშვილი, ანა სანაია, ნინო მუმლაძე, ადა გოგუაძე, შონზო, ნიკა რამიშვილი, გიორგი კალანდარიშვილი, გიორგი კალანდაძე, ნათია წიწილაშვილი, დიმა ტატიშვილი, ვასიკო ოდიშვილი, გუგა კახიანი
პროდიუსერები: მიშა მშვილდაძე, ნიკა ქავთარაძე
წარმოება: ფორმულა კრეატივი

112 MIN, 4K, COLOUR
Director: Giorgi Liponava
Screenplay: Misha Mshvildadze, Formula Creative
Cinematography: Giorgi Shvelidze
Music: Archil Guledani, Beka Japaridze, Vakho Babunashvili, Iakob Bobokhidze
Production design: Vakho Kakulia
Editing: Giorgi Liponava
Sound: Nika Paniashvili
Cast: Gia Tsinadze, Vaniko Tarkhnishvili, Ana Sanaia, Nino Mumladze, Ada Goguadze, Shonzo, Nika Ramishvili, Giorgi Kalandarishvili, Giorgi Kalandadze, Natia Tsitsilashvili, Dima Tatishvili, Vasiko Odishvili, Guga Kakhiani
Producers: Misha Mshvildadze, Nika Kavtaradze
Production: Formula Creative

გიორგი ლიფონავა



დაიბადა 1975 წელს. 1995-2003 წლებში იღებდა მუსიკალურ კლიპებს. 2003-2008 წლებში მუშაობდა კომპანია "ფორმულა კრეატივის" იუმორისტული ტელესერიალების რეჟისორად. "რაც ყველაზე ძალიან გიყვარს" მისი დებიუტია კინოში.

GIORGI LIPONAVA

Born in 1975. In 1995-2003 he was making musical clips. In 2003-2008 he was a director of Formula Creative humoristic TV series. "The Thing You Love the Most" is his first film.



რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2

ფილმის გმირები ახალ წელს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასასვლელად ემზადებიან, ნუნუკას და ნოდარს ნიშნობა აქვთ, მყუდრო შეყვარებულისთვის სიყვარულის ორიგინალურად ახსნას აპირებს, თიკუნამ კი სპეციალურად დოლჩესთვის მკერდის გაზრდის ოპერაცია გაიკეთა. მაგრამ ფილმის მთავარი გმირები ნიკას და რობიკოს შვილები არიან, რომლებიც ახალ წელს ერთდროულად ევლინებიან ქვეყანას.

2009

100 წთ, 4K, ფერადი

რეჟისორი: რატი რამიშვილი
სცენარი: მიშა მშვილდაძე, ფორმულა კრეატივი
ოპერატორი: გოგლიკა ხაინდრავა
მუსიკა: არჩილ გულედანი, ბექა ჯაფარიძე, ვახო ბაბუნაშვილი, იაკობ ბობოხიძე
მხატვარი: ვახო კაკულია
მონტაჟი: ზურა მენთეშაშვილი, რატი რამიშვილი
ხმის რეჟისორი: ირაკლი ივანიშვილი
მონაწილეობენ: გია ცინაძე, ვანიკო თარხნიშვილი, ანა სანაია, ნინო მუმლაძე, ადა გოგუაძე, შონზო, ნიკა რამიშვილი, გიორგი კალანდარიშვილი, გიორგი კალანდაძე, ნათია წინილაშვილი, ბერტა ხაფავა, ვასიკო ოდიშვილი, გუგა კახიანი
პროდიუსერები: მიშა მშვილდაძე, ნიკა ქავთარაძე
წარმოება: ფორმულა კრეატივი

The Thing You Love The Most 2

RATS QVELAZE DZALIAN GIQVARS 2

The film leading characters are getting prepared to start new stage in their lives. Nunuka and Nodar are celebrating engagement party, Mkhudro is in training to declare love to his sweetheart, Tikuna has enlarged breast with implants especially for Dolche. But the main heroes of the film are babies of Nika and Robiko born at the same time.

100 MIN, 4K, COLOUR

Director: Miguel Angel Jiménez Colmenar
Director: Rati Ramishvili
Screenplay: Misha Mshvildadze, Formula Creative
Cinematography: Goglika Khaindrava
Music: Archil Guledani, Beka Japaridze, Vakho Babunashvili, Iakob Bobokhidze
Production design: Vakho Kakulia
Editing: Zura Menteshashvili, Rati Ramishvili
Sound: Irakli Ivanishvili
Cast: Gia Tsinadze, Vaniko Tarkhnishvili, Ana Sanaia, Nino Mumladze, Ada Goguadze, Shonzo, Nika Ramishvili, Giorgi Kalandarishvili, Giorgi Kalandadze, Natia Tsitsilashvili, Berta Khapava, Vasiko Odishvili, Guga Kakhiani
Producers: Misha Mshvildadze, Nika Kavtaradze
Production: Formula Creative



რატი რამიშვილი

დაიბადა 1985 წელს. 1999-2002 წლებში იყო იუმორისტული ტელესერიალის “მუსკულების” რეჟისორი, 2008 წლიდან რეჟისორად მუშაობს ტელესერიალზე “ჩვენი ოფისი”. “რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2” მისი სადებიუტო ფილმია.

RATI RAMISHVILI

Born in 1985. In 1999-2002 he directed humorous TV series of Muscles. He has been a director of the TV series of Our Office since 2008. What We Like Best 2 is his first film.

ყველაფერი კარგად იქნება

პრეზიდენტის დავალებით დეზინფექციის სახელმწიფო მინისტრი საქართველოდან ინდოეთში, გოაში მიემგზავრება საიდუმლო მისიით. მას თან მოადგილე და საყვარელი მიჰყავს. ქართველებს სომხური მასონური ლოჟის წევრები და რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის თანამშრომლები უთვალთვალებენ. ინდოეთში წარგზავნილი ქართველები ტერორისტულ ორგანიზაციას შეეჯახებიან, მაგრამ ყველაფერი კარგად მთავრდება. .



Everything Will Be OK

QVELAPHERI KARGAD IKNEBA

State minister of desinfections leaves on a secret mission for Goa, India on an errand of the president. He takes his deputy and a mistress with him. The Georgians are spied upon by the Armenian Masonic lodge members and Russian Federal Security Service employees. The Georgians seconded to India clash with the terrorist organization but everything ends well.

2009
95 წთ, ვიდეო, ფერადი
რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
სცენარი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
ოპერატორი: მიხეილ მაღალაშვილი
მუსიკა: ზაზა კორინთელი
მონტაჟი: დიმიტრი ლობჟანიძე
ხმის რეჟისორი: დათო ჩოკოლაშვილი
მონაწილეობენ: ნიკო გომელაური, სანდრო მარგალიტაშვილი, შორენა ბეგაშვილი, ირაკლი აფაქიძე, გოგა ბარბაქაძე, ლარისა რეშეტკო, აპოლონ კუბლაშვილი, კახა მიქიაშვილი, ქეთა ლორთქიფანიძე
პროდიუსერი: ირაკლი ჩიკვაიძე
წარმოება: ვარს-სტუდიო

95 MIN, VIDEO, COLOUR
Director: Avtandil Varsimashvili
Screenplay: Avtandil Varsimashvili
Cinematography: Mikheil Maghalashvili
Music: Zaza Korinteli
Editing: Dimitri Lobzhanidze
Sound: Dato Chokolashvili
Cast: Niko Gomelauri, Sandro Margalitashvili, Shorena Begashvili, Irakli Apakidze, Goga Barbakadze, Larisa Reshetko, Apolon Kublashvili, Kakha Mikiashvili, Keta Lortkipanidze
Producer: Irakli Chikvadze
Production: Vars Studio

ავთანდილ ვარსიმაშვილი



დაიბადა 1959 წელს. 1981 წელს დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტი. 1980-1992 წლებში მუშაობდა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში დამდგმელ რეჟისორად. 1999 წლიდან გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამატული თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. არის საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი, თეატრების “თეატრალური სარდაფის” (1996) და “თავისუფალი თეატრის” (2001) დამაარსებელი.

ფილმოგრაფია: ყველაფერი კარგად იქნება (2009); იდიოტოკრატია (2008); მერე რა, რომ სველია, სველი იასამანი (2000); სახლი ძველ უბანში (1994, ტელესერიალი); თვინიერი (1990)

AVTANDIL VARSIMASHVILI

Born in 1959. He was graduated from the department of direction of the State Theatre Institute in 1981. He had worked as a production director at Shota Rustaveli State Theatre in 1980-1992. He has been an artistic manager of Griboedov Russian Theatre of Drama since 1999. He is a professor of Theatre and Cinema University of Georgia and founder of theatres of “Theatrical Basement” (1996) and “Free Theatre” (2001).

FILMOGRAPHY: Everything Will Be OK (2009); Idiotocrasy (2008); So what if Lilac is Wet (2000); A House in an Old Neighbourhood (1994, TV series); Meek (1990)



2009
86 წთ, HD, ფერადი
რეჟისორი: დათო ჯანელიძე
სცენარი: დათო ჯანელიძე,
ვაჟა გიგაშვილი
ოპერატორი: გია გერსამია
მხატვარი: ჯემალ მირზაშვილი
მონაწილეობენ: ზაზა ბურჭულაძე,
ნატა მურვანიძე, გიორგი ნაკაშიძე
პროდიუსერი: ქეთევან გალდავაძე
წარმოება: ტაია გრუპი

86 MIN, HD, COLOUR
Director: Dato Janelidze
Screenplay: Dato Janelidze, Vazha Gigashvili
Cinematography: Gia Gersamia
Art Director: Jemal Mirzashvili
Cast: Zaza Burchuladze, Nata Murvanidze,
Giorgi Nakashidze
Producer: Ketevan Galdavadze
Production: Taia Group

ჯაყოს ხიზნები

ფილმის მთავარ გმირად შეიძლება ქარი წარმოვიდგინოთ: სიო, ქარიშხალი, ბრიზი.... ეს ფილმის ვიზუალური საფუძველია. მაყურებელმა უნდა წარმოიდგინოს შიდა ქართლის მკაცრი, შეყვითლებული ლანდშაფტი, რომ საქართველოს ეს მხარე ისე დაინახოს, როგორც ჩვენ ვხედავთ მას.
მთავარი გმირებიც შეიძლება ქარის სახეობებს შევადაროთ: თეიმურაზი მსუბუქი სიოა, მარგო — ბრიზი, ხოლო ჯაყო ძლიერი ქარია. ამ სამი ხასიათის ურთიერთობა წარმოქმნის ქარიშხალს, რომელიც წალეკვით ემუქრება ყოველივეს.

Jakho’s Lodgers

JAQOS KHIZNEBI

A blowing wind can become one of the main characters of the film.

A breeze, a storm, a light wind… They will serve as the visual basis of the film. One just has to envision the stern and straw yellow landscapes of Shida Kartli, one of the regions in Georgia, to grasp it the way we see it…

One can also view the main characters according to the wind types: Teimuraz is a light wind, Margo is a breeze and Jakho is a storm… Ultimately, the combination of these three characteristics results into the storm that will blow away all of them by the end of the film.



დათო ჯანელიძე

დაიბადა 1958 წელს. 1980 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი. მუშაობდა რეჟისორად კინოსტუდია “ქართულ ფილმში”, საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში. ასწავლის საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ფილმოგრაფია: ჯაყოს ხიზნები (2009); მოძრავი ფოტოები (2006, დოკ.); კავშირი (2005, მ/მ); მეიდანი – სამყაროს ჭიპი (2004, დოკ.); მტვრის გემო (2004, სატელევიზიო სერიალი); დედა-ენა (2002, ვიდეო-წიგნი); ვანო მელიაშვილი (2000, დოკ.); წილკანი (1998, დოკ.); 1001 ღამე თბილისში (1996, სატელევიზიო სერიალი); ციხე-სიმაგრე (1994); მდგმურები (1990); დედუნა (1985); სამცენარე (1982, მ/მ); ვერსათრიელა (1982, მ/მ)

DATO JANELIDZE

Born in 1958 in Tbilisi. Education: Georgian State University of Theatre and Film (1980). Work experience: director at the Georgian Film Studio; Georgian State Television; currently teaches at the Georgian State University of Theatre and Film.

FILMOGRAPHY : Jakho’s Lodgers (2009); Moving Photos (2006, doc.); The Connection (2005, short); Meidan – the Navel of the World (2004, doc.); The Taste of Dust (2004, TV serial); Deda-Ena / Mother Tongue (2002, video-book); Vano Meliashvili (2000, doc.); Tsilkani (1998, doc.); 1001 Nights in Tbilisi (1996, TV serial); The Fortress (1994); The Lodgers (1990); Deduna (1985); Versatriela (1982, short); The Nurseries (1982, short)

მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები
Short Feature Films



2009
5 წთ, ვიდეო, ფერადი
რეჟისორი: ნიკა მაჩაიძე
სცენარი: ზაალ რუსაძე
მუსიკა: ნატალია ბერიძე
ანიმაცია: ნიკა მაჩაიძე
მონაწილეობს: ნიკა მაჩაიძე
წარმოება: საქართველოს წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო ცენტრი

5 MIN, VIDEO, COLOUR
Director: Nika Machaidze
Screenplay: Zaal Rusadze
Music: Natalia Beridze
Animation: Nika Machaidze
Cast: Nika Machaidze
Production: Georgian centre for psychosocial and medical rehabilitation of torture victims

ანარეკლი

ადამიანი საკუთარი თავის ერთადერთი ჯალათია — ყოველი შემთხვევისთვის, წინასწარ მოხადეთ საწამებელ სუბიექტებს ნიღბები.

Reflection

ANAREKLI

Three short stories about relationships between young couples, as they seeking the truth, love, reason to live and answers to questions they've got. These stories happen on same place and on same time.



ნიკა მაჩაიძე

დაიბადა 1972 წელს თბილისში. 1992 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის ანიმაციის ფაკულტეტი, 1996 წელს — ამავე ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტი. 1991-2000 წლებში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში და დამოუკიდებელ სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ში რეჟისორად, სცენარის ავტორად, კომპოზიტორად და მემონტაჟედ.

ფილმოგრაფია: ანარეკლი (2009, მ/მ); თბილისური love story (2009, სრულმეტრაჟიანი ფილმის პროექტის ნაწილი); გულმავიწყობა (2008, ტექნიკური პილოტი 90-წუთიანი ანიმაციური ფილმისთვის); „მმ პროექტი“ (2007, ანიმაცია);

NIKA MACHAIDZE

Born in 1972 in Tbilisi. In 1992 he was graduated from faculty of animation and in 1997 – from faculty of film directing of Tbilisi State Institute of Theatre and Film. In 1991-2000 he has been working as a director, scriptwriter, composer and editor in Tbilisi State Television and Independent media company "Rustavi 2".

FILMOGRAPHY: Reflection (2009, short); Tbilisi Love Story (2009, Part of feature film project); Forgetfulness (2008, a technical pilot for a 90 min. feature animation); MMproject (2007, animation)

ახალი 2009 წელი

ყოველდღიური ცხოვრება და ომი ტელევიზორში.

New 2009

AKHALI 2009 TSELI

Daily life and war in Television.



2009
9 წთ, HDV, ფერადი
რეჟისორი: შალვა მიქუტიშვილი
სცენარი: შალვა მიქუტიშვილი
ოპერატორი: ომარ გელაშვილი
მონტაჟი: შალვა მიქუტიშვილი
მონაწილეობენ: ვერიკო კალანდარიშვილი, ლევან ლომჯარია

9 MIN, HDV, COLOUR
Director: Shalva Mikutishvili
Screenplay: Shalva Mikutishvili
Cinematography: Omar Gelashvili
Editing: Shalva Mikutishvili
Cast: Veriko Kalandarishvili, Levan Lomjaria

Contact:
Mob.: +995 99 68 77 37

შალვა მიქუტიშვილი



დაიბადა 1983 წელს. 2006 წელს დაამთავრა საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

SHALVA MIKUTISHVILI

Born in 1983. In 2006 he graduated from Georgian State University of Theatre and Film.



2009
30 წთ, 4K DCP, ფერადი
რეჟისორი: სალომე ალექსი-მესხიშვილი
ოპერატორი: გიორგი ბერიძე
მუსიკა: გია ყანჩელი
მხატვარი: ვაჟა ჯალაღანია
მონტაჟი: სალომე მაჩაიძე,
ელენე მურჯიკნელი
ხმის რეჟისორები: ნასიმ ელ მუნაბი,
სირილ ჰოლცი
აღმასრულებელი პროდიუსერი:
მარიამ კანდელაკი
მონაწილეობენ: გია აბესალაშვილი, ნიკა ბახია, რუსუდან ბოლქვაძე, ნინო გომართელი, პაატა გულიაშვილი, ლია კაპანაძე, ქეთინო კანტიძე, ნინო კასრაძე, ია სუხიტაშვილი
ხმა კადრს მიღმა: მარინა კობახიძე

30 MIN, 4K DCP, COLOUR
Director: Salome Aleksi-Meskhishvili
Cinematography: Giorgi Beridze
Music: Giya Kancheli
Production design: Vaja Jalarania
Editing: Salome Machaidze, Elene Murjikneli
Sound: Nassim EL Mounabbih, Cyril Holz
Executive producer: Mariam Kandelaki
Cast: Gia Abesalashvili, Rusudan Bolkvadze, Paata Guliashvili, Nino Kasradze, Ia Sukhitashvili
Voice over: Marina Kobakhidze
Contact:
salomé aleksi
Rütersbarg 9A | 22529 Hamburg | GERMANY
Phone: +49 171 92 26 66 6
E-Mail: salome@felicita-cinema.com
www.felicita-cinema.com

ბედნიერება

ზაირა არსენიშვილის მოთხრობის „ცოლმა ქმარი დაიტირა“ მიხედვით.

თამრია იტალიაში არალეგალურადაა წასული. იქ მოხუც პაოლას უვლის და ფულს მეუღლესა და სამ შვილს უგზავნის საქართველოში.
მოულოდნელად თამრიას ქმარი ვალიკო ავტოავარიაში იღუპება. არალეგალურად, ვალით წასულ ქალს მის დასატირებლად სამშობლოში ჩამოსვლა არ შეუძლია და გადაწყვეტს, ეს მობილური ტელეფონით გააკეთოს.

Felicita

BEDNIEREBA

Tamria is an illegal immigrant in Italy, where she looks after old woman called Paola and sends money to her husband and three kids.
Suddenly her husband, Valiko dies in an accident. As an illegal immigrant, Tamria can not arrive to mourn him and decides to make it by cell phone.



სალომე (ნუცა) ალექსი-მესხიშვილი

დაიბადა 1966 წელს თბილისში. 1988 წელს დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია. 1988-1992 წლებში მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ მხატვრად. 1992-1996 წლებში სწავლობდა პარიზის კინოსკოლა La FEMIS-ში კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე.

SALOME ALEKSI-MESKHISHVILI

Born in 1966 in Tbilisi. Education: Tbilisi state Academy of the Fine Arts (1982-1988); Paris Film School La FEMIS, Directorial Department (1992-1996). Work experience: 1988-1992 - Film Studio “Georgian Film”/Art director, costume designer; 1998-2000 - Council of Europe (Strasburg), Reporter.

ერთგული მეგობრები

სასაფლაოზე შეკრებილი ახალგაზრდები დაღუპულ მეგობრებს იხსენებენ – ყველა ნარკოტიკებმა შეიწირა. “ერთგული მეგობრები” დაღუპულებს არ ღალატობენ – ნარკოტიკების მოხმარებას განაგრძობენ.

Devoted Friends

ERTGULI MEGOBREBI

Young people gathered at the cemetery to recollect their deceased friends who died from narcotics. The devoted friends stay faithful to the lost friends and keep using drugs.



2009
1 წთ 24 წმ, HDV, ფერადი
რეჟისორი: ზაზა მერაბიშვილი
სცენარი: ზაზა მერაბიშვილი
ოპერატორი: შალვა სამხარაძე
მხატვარი: ნინი ნადირაშვილი
მონტაჟი: ვალერი ოდიკაძე
ხმის რეჟისორი: ვახო ვახტანგიშვილი
მონაწილეობენ: ნიკა ჩხიკვაძე, დავით დავითულიანი, დავით ასათიანი
პროდიუსერი: სალომე ჯაფარიძე
წარმოება: პარადოქს ფილმზი

1 MIN 24 SEC, HDV, COLOUR
Director: : Zaza Merabishvili
Screenplay: Zaza Merabishvili
Cinematography: Shalva Samkharadze
Production design: Nini Nadirashvili
Editing: Valeri Odikadze
Sound: Vakho Vakhtangishvili
Cast: Nika Chkhikvadze, Davit Davituliani, Davit Asatiani
Producer: Salome Japaridze
Production: Paradox Films

Contact:
Mob.: +995 93 25 44 43
zazamerabishvili@hotmail.com

ზაზა მერაბიშვილი



დაიბადა 1971 წელს თბილისში. 1995 წელს დაამთავრა ადამიანის ჰარმონიულად განვითარების ინსტიტუტი. 1997-98 წლებში სწავლობდა ვუდბერის უნივერსიტეტის ხელოვნების სკოლაში ლოს-ანჯელესში. 1998-99 წლებში საქართველოს სახელმწიფო ტელერადიო კორპორაციის ტექნიკურ ცენტრში დაამთავრა ტელე-ვიდეოოპერატორთა კურსები, 2004 წელს კი – საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ფილმოგრაფია: ერთული მეგობრები (2009, მ/მ); ქურდი (2007, მ/მ); ENSUENO (2003, ვიდეო-არტი); თეთრი (2001, ექსპერიმენტული); ჰიმნი მზისა და მშვიდობისა (2001, ტელეფილმი); შური (2000, მ/მ)

ZAZA MERABISHVILI

Born in 1971 in Tbilisi. Education: Institute of Harmonious Development of Humanity (1995); Art School, Woodbery University, Los Angeles (1998); Technical Centre of the Georgian State TV-Radio Corporation, speciality – TV and video director of photography (1999); Georgian State University of Theatre and Film (2004).

FILMOGRAPHY: Devoted Friends (2009, short); The Thief (2007, short); ENSUENO (2003, video-art); White (2001, experimental); Hymn to the Sun and Peace (2001, TV film); The Envy (2000, short)



2009
30 წთ, NTSC, ფერადი
რეჟისორი: ქეთი ორჯონიკიძე
სცენარი: ქეთი ორჯონიკიძე
ოპერატორები: კენი დსნი,
შონ პაი, ისააკ დევისი
მუსიკა: ზურაბ ნადარაიშვილი
მონტაჟი: შონ ადაირი, შონ პაი
ხმის რეჟისორი: ზურაბ ნადარაია
მონაწილეობენ: ქეთი ორჯონიკიძე, ინგა გაჩეჩილაძე, ლიზა მინგოია, ჯონ ბროსოუ, გიორგი პაპაშვილი, ალექსანდრა ივანოვა
პროდიუსერი: ქეთი ორჯონიკიძე

30 MIN, NTSC, COLOUR
Director: Katie Orjonikidze
Screenplay: Katie Orjonikidze
Cinematography: Kenny
Dixon, Shaun Pai, Isaac Davis
Music: Zurab Nadaraishvili
Editing: Sean Adair, Shaun Pai
Sound: Zurab Nadaraia
Cast: Katie Orjonikidze, Inga Gachechiladze, Lisa Mingoia, John Brosseau,
George Papashvili, Alaksandra Ivanova
Producer: Katie Orjonikidze

თუთიყუში

ორი დღე ქართველი ემიგრანტი გოგონების ცხოვრებიდან. ირმა ნიუ-იორკის გარეუბანში, უშვილო ამერიკელი წყვილის ოჯახში მუშაობს დამლაგებლად. გოგონამ ინგლისური არ იცის და გულმოდგინედ ასრულებს ყოველგვარ შინაურ სამუშაოს. ერთ შაბათ დილას ოჯახი წერილს იღებს მეზობლისგან, რომელსაც მოლაპარაკე თუთიყუში დაეკარგა და მის მპოვნელს ჯილდოს ჰპირდება. წყვილს ჭკუაში უჯდება ფულის შოვნის შესაძლებლობა და ფრინველის მოძებნას ქართველ დამლაგებელს ავალებს.

The Parrot

TUTIQUSHI

A young girl, named Irma comes to the United States from Georgia after the collapse of the Soviet Union, without speaking any English. She starts working as a housekeeper in a childless family of an American couple Mary and Jay-Jay. Innocent and devoted to her job, Irma works honestly and hard until the couple receives a letter from a neighbor, who lost a parrot and is giving a reward if anybody finds it. Mary and Jay-Jay think that this amount of money could cover their one-day expenses for gambling. Leaving house for a weekend getaway the couple gives Irma an errand to look for the lost parrot, in addition to her usual work at home



ქეთი ორჯონიკიძე

დაიბადა 1969 წელს თბილისში. 1995 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაამთავრა. წლების მანძილზე მუშაობდა პოლიტიკურ კორესპონდენტად ქართულ პრესაში. ამერიკაში ემიგრაციის შემდეგ, 2000-2005 წლებში შექმნა მოთხრობების ციკლი ემიგრანტულ თემებზე, რომლებიც დროგამოშვებით ქვეყნდებოდა საქართველოში თუ საზღვარგარეთ გამომავალ ქართულ ჟურნალ- გაზეთებში. „თუთიყუში“ ქეთი ორჯოკიძის დებიუტია კინოში.

KATIE ORJONIKIDZE

Born in 1969 in Tbilisi. In 1995 after graduating from Tbilisi State University where she received her Master’s in Journalism, she spent the next ten years working as a political reporter for leading Georgian newspapers. After immigrating to the United States, Katie started publishing fiction short stories about the immigrant’s life in the America. “The Parrot” is her first short film.

მე მოვალ დილით

ახალგაზრდა კაცი ქალს ქუჩაში ხელჩანთას ართმევს. მდევარს რომ თავი დააღწიოს, ახლომდებარე შენობის ერთ ბნელ ოთახში შერბის. დაწესებულების თანამშრომლები შენობას კეტავენ და მიდიან. მამაკაცი აღმოაჩენს, რომ მორგშია გამოკეტილი. . . დაძაბული ღამის განმავლობაში მთავარი გმირის ისტორიას ვეცნობით. აღმოჩნდება, რომ მას უამრავი პრობლემა აქვს, მათ მოგვარებას კი დილით, "ტყვეობიდან" გასვლისთანავე აპირებს. როდესაც მორგის თანამშრომელი კარს აღებს, მამაკაცი თავქუდმოგლეჯილი გარბის, მაგრამ მის გეგმებს ასრულება არ უწერია.

Expect Me in the Morning

ME MOVAL DILIT

A young man takes away a handbag from a woman in the street. To escape from the chase he bursts into a dark room of a nearby building. Employees of the organization lock the building and go away. The man finds out that he is locked in the morgue... We learn the young man's story during the strained night. It appears that he has many problems and intends to solve them in the morning immediately after his captivity comes to an end. When the morgue employee opens the door the young man runs away at a breakneck speed, but he is not fated to fulfill his plans.



ნინო ხატიაშვილი


დაიბადა 1968 წელს თბილისში. 1990 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, 1988 წელს – ამავე უნივერსიტეტის ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტი კინორეჟისურის სპეციალობით (ბუბა ხოტივარისა და ოთარ იოსელიანის კლასი).

ფილმოგრაფია: მე მოვალ დილით (2009, მ/მ); ხვალინდელი დღე (2000, დოკ.); დედაენა (2000, დოკ.)

NINO KHATIASHVILI

Born in 1968 in Tbilisi. In 1990 she was graduated from the physics department of Tbilisi state university, in 1988 – from the department of arts and humanities professions of the same university majoring in film direction (class of Buba Khotivari and Otar Iosseliani).

FILMOGRAPHY: Expect Me in the Morning (2009, short); Tomorrow (2000, doc.); Mother Tongue (2000, doc.)



2009
16 წთ, DV Cam, ფერადი
რეჟისორი: ნინო ხატიაშვილი
სცენარი: ნინო ხატიაშვილი
ოპერატორი: ლევან პატარაია
მუსიკა: ნიკა შამუგია
მონტაჟი: სოსო ჯავახიშვილი
ხმის რეჟისორი: ირაკლი ქაცარავა
მონაწილეობენ: პაატა ვახტანგიშვილი, ზურა სიხარულიძე, ზურა აბესაძე, მანანა დიღმელაშვილი, თენგო სეფიაშვილი, ლევან კაპანაძე, ბუხო ბუჯიაშვილი
პროდიუსერი: ეკატერინე ხვედელიძე

16 MIN, DC CAM, COLOUR
Director: Nino Khatiashvili
Screenplay: Nino Khatiashvili
Cinematography: Levan Pataraia
Music: Nika Shamugia
Editing: Soso Javakhishvili
Sound: Irakli Katsarava
Cast: Paata Vakhtangishvili, Zura Sikharulidze, Zura Abesadze, Manana Dighmelashvili, Tengo Sepiashvili, Levan Kapanadze, Bukho Bujiashvili
Producer: Ekaterine Khvedelidze

Contact:
Mob.: +995 93 448 222
nino.khatiashvili@yahoo.com



სერგო გოთორანი (სერგო გოთვერანი)

მოკლე ამბავი აფხაზეთიდან დევნილი ოჯახის ცხოვრებიდან.

2009
48 წთ, DV PAL, ფერადი
რეჟისორი: ირაკლი ფანიაშვილი
სცენარი: ირაკლი ფანიაშვილი
ოპერატორი: ნათელა გრიგალაშვილი
მხატვარი: თეონა ყაველაშვილი
მონტაჟი: ირაკლი ფანიაშვილი
ხმის რეჟისორები: ნიკოლოზ ფანიაშვილი, ვახტანგ ჯუღელი
მონაწილეობენ: ირაკლი ბულია, რევაზ ჩიქოვანი, ბოჩო ხარჩილავა, ლიანა ბახბაია, ნუგზარ გვილავა, გიორგი რევაზიშვილი
პროდიუსერი: ირაკლი ფანიაშვილი


48 MIN., DV PAL, COLOUR
Director: Irakli Paniashvili
Screenplay: Irakli Paniashvili
Cinematography: Natela Grigalashvili
Production design: Teona Kavelashvili
Editing: Irakli Paniashvili
Sound: Nikoloz Paniashvili, Vakhtang Jugeli
Cast: Irakli Bulia, Revaz Chikovani, Bocho Kharchilava, Liana Bakhbaia, Nugzar Gvilava, George Revazishvili
Producer: Irakli Paniashvili

Contact:
Mob.: +995 95 41 73 33

Sergo The Rogue

SERGO GOTORANI

A short story from the life of a refugee family from Apkhazia.



ირაკლი ფანიაშვილი

დაიბადა 1968 წელს თბილისში. 1991 წელს დაამთავრა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი, 1998 წელს — კინორეჟისურის უმაღლესი კურსები (ალექსანდრე რეხვიაშვილის სახელოსნო.

ფილმოგრაფია: სერგო გოთორანი (2009, მ/მ); ხმა (1998, დოკ.)

IRAKLI PANIASHVILI

Born in 1968 in Tbilisi. Education: Actor Department, Tbilisi State Institute of Drama and Cinema (1985 – 1991); Higher Courses of Film direction, Tbilisi TV and Radio Institute (Alexander Rekhviashvili's Studio, 1996 – 1998).

FILMOGRAPHY: Sergo the Rogue (2009, short);Voice (1998, doc.)

ქურდები ასე არ იქცევიან 2

“ქურდი სხვის ბინაში რომ შედის, ყველაფერთან ერთად თუთიყუშსაც კი იპარავს!” — უმტკიცებს დრამატურგიის პედაგოგი სტუდენტს, რომელიც თავის სცენარში დაჟინებით წარმოაჩენს პერსონაჟს ადამიანად, რომელიც კარგადაც შეიძლება მოიქცეს....

The Thieves Do Not Behave Like This 2

KURDEBI ASE AR IKTSEVIAN 2

“When a thief enters someone’s house he steals everything, even a parrot” – claims the dramaturgy teacher to his student, while she stubbornly features the character in her screenplay as someone who might behave in a good way.



2009
9 წთ. Mini DV, ფერადი
რეჟისორი: მზია მანჯავიძე
სცენარი: მზია მანჯავიძე
ოპერატორები: ნათია ჩილინდიშვილი, გური გოლიაძე, ირაკლი ახალკაცი
მუსიკა: ასტორ პიაცოლა
მონტაჟი: საბა ამირეჯიბი
ხმის რეჟისორი: საბა ამირეჯიბი
მონაწილეობენ: კახა მიქიაშვილი, ზაზა თვარაძე, დარეჯან წურწუმია

9 MIN, MINI DV, COLOUR
Director: Mzia Manjavidze
Screenplay: Mzia Manjavidze
Cinematography: Natia Chilindishvili, Guri Goliadze, Irakli Akhalkatsi
Music: Astor Piazzola
Editing: Saba Amirejibi
Sound: Saba Amirejibi
Cast: Kakha Mikiashvili, Zaza Tvaradze, Darejan Tsurtsumia

Contact:
Tel.: +995 32 98 51 65
Mob.: +995 97 18 23 40
mzia99@yahoo.com

მზია მანჯავიძე



დაიბადა 1963 წელს. 1987 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი, 2006 წელს – საქართველოს კინოსა და თეატრის უნივერსიტეტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის ორწლიანი უმაღლესი კურსები. არის ვოკალური ანსამბლის ხელმძღვანელი, მომღერალი, კინომუსიკისა და სიმღერების ავტორი.

ფილმოგრაფია: ქურდები ასე არ იქცევიან 2 (2009); მეფისტოვალსი (2007); ქურდები ასე არ იქცევიან (2006) (მ/მ)

MZIA MANJAVIDZE

Born in 1963. In 1987 she was graduated from Tbilisi State Conservatoire majoring in choral and orchestra conducting, in 2006 – from 2-year high courses of film direction of Georgian University of Theatre and Film. She is a leader of vocal ensemble, singer and composer, author of film music and songs.

FILMOGRAPHY: The Thieves Do Not Behave Like This 2 (2009); Mephisto Waltz (2007); The Thieves Do Not Behave Like This (2006) (short)



2009
18 წთ, HD, ფერადი
რეჟისორი: გოგა ხაჩიძე
სცენარი: გოგა ხაჩიძე
ოპერატორი: გოგა ხაჩიძე
მონტაჟი: ირაკლი ბორჩხაძე
მონაწილეობენ: გოგა ხაჩიძე

18 MIN, HD, COLOUR
Director: Goga Khachidze
Screenplay: Goga Khachidze
Cinematography: Goga Khachidze
Editing: Irakli Borchkhadze
Cast: Goga Khachidze

Loading Content

Loading content საავტორო, ექსპერიმენტული პროექტია, რომლის მთავარი პრინციპი წინასწარ დაუგეგმავი, სპონტანური გადაღებაა. ფილმის ქრონომეტრაჟი თითქმის სრულიად ემთხვევა გადაღების რეალურ დროს და სახლში დაბრუნებული დაღლილი ადამიანის მოკლე ისტორიას მოგვითხრობს. მთავარი გმირის ერთადერთი პარტნიორი ვიდეოკამერაა.

Loading Content

LOADING CONTENT

Loading Content is an art-house experimental project the main principle of which is an unplanned and spontaneous filming. The film, running time of which almost coincides with real time, narrates a short story about a tired man returning home. The only partner of the lead character is a video camera.



გოგა ხაჩიძე

დაიბადა 1974 წელს თბილისში. 1992-1997 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტზე, 1993-1997 წლებში — ამავე უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. 1994-2002 წლებში მუშაობდა სხვადასხვა სამაუწყებლო კომპანიებსა და ბეჭდვით მედიაში. 2002 წლიდან პოლიტიკაში გადაინაცვლა. ამჟამად გოგა ხაჩიძე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრია.

GOGA KHACHIDZE

Born in 1974 in Tbilisi. In 1992-1997 he had studied on the faculty of biology of Tbilisi State University, in 1993-1997 – on the faculty of journalism of the same university. In 1994-2002 he had worked with different broadcasting companies and printing media. He has moved to politics since 2002. He is a minister of environment protection and natural resources of Georgia at the present.

დოკუმენტური ფილმები
Documentaries



2009
30 წთ, DV Cam, ფერადი
რეჟისორები: ნინო ორჯონიკიძე, ვანო არსენიშვილი
იდეის ავტორები: ნინო ორჯონიკიძე, ვანო არსენიშვილი
ოპერატორი: ვანო არსენიშვილი
მონტაჟი: ნინო ორჯონიკიძე, ვანო არსენიშვილი
პროდიუსერები: ნინო ორჯონიკიძე, ვანო არსენიშვილი
წარმოება:
არტეფაქტ პროდაქშენი

30 MIN, DV CAM, COLOUR
Directors: Nino Orjonikidze, Vano Arsenishvili
Idea: Nino Orjonikidze, Vano Arsenishvili
Cinematography: Vano Arsenishvili
Editing: Nino Orjonikidze, Vano Arsenishvili
Producers: Nino Orjonikidze, Vano Arsenishvili
Production: Artefact Production

ალცნეი

87 წლის ალცნეი პანკისის ხეობის ყველაზე ავტორიტეტული ქალია. ის ერთადერთია, ვისაც იქაური თემი ჯერ საკუთარ პრობლემებს, შემდგომ კი გარდაცვლილებს ანდობს. თემს სჯერა, რომ ალცანეი ორივე სამყაროში მედიატორის როლს ასრულებს. როგორ ხდება ქალი ავტორიტეტი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე პატრიარქალურ სივრცეში — იქ, სადაც დღესაც ტრადიცია კანონზე მაღლა დგას? რა გამოარჩევს ალცნეის ხეობის დანარჩენი რამდენიმე ათასი ქალისგან?

Altznei

ALTZNEI

87 years old Altznei is the most authoritative lady of Pankisi Gorge. She is the only one whom community trust firtst their problems and than their diceased. The community believe that Altznai acts as a mediator in both worlds.
How a woman can become authoritative in one of the most patriarchal places of Georgia, where tradition takes precedente over the law? What makes Altznei so distinguished from several thousand women who live in the Gorge?



ნინო ორჯონიკიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ლონდონის უნივერსიტეტის გოლდსმის კოლეჯის (მაგისტრის ხარისხი) დამთავრების შემდეგ მუშაობდა ჟურნალისტად და სხვადასხვა პროექტების პროდიუსერად და რედაქტორად სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2-ში, ასევე მედიის განვითარების არასამთავრობო ორგანიზაცია "ინტერნიუსში". არის საპროდიუსერო კომპანია "არტეფაქტ პროდაქშენის" თანადამფუძნებელი.

NINO ORJONIKIDZE

After graduating from Tbilisi State University and London Goldsmith college (Master's degree) Nino Orjonikidze has worked as a journalist, producer of different projects and editor at Rustavi2 Broadcast company and at Internews media development NGO. She is a co-founder of producer company of "Artefact Productions."



ვანო არსენიშვილი

დაამთავრა თბილისის თეატრალური ინსტიტუტი ანიმაციის რეჟისორის სპეციალობით, შემდეგ სწავლა განაგრძო ვენის კინოაკადემიაში მიხაილ ჰანეკეს ჯგუფში (სპეციალობა – კინორეჟისორი). საქართველოში დაბრუნების შემდეგ მუშაობს "ინტერნიუსსა" და ტელეკომპანია რუსთავი 2-ში სხვადასხვა პროექტების პროდიუსერად და რეჟისორად. არის საპროდიუსერო კომპანია "არტეფაქტ პროდაქშენის" თანადამფუძნებელი.

VANO ARSENISHVILI

After graduating from animation faculty of Tbilisi Theatrical Institute Vano Arsenishvili carried on his studies in the group of Michael Haneke at Viena Film Academy (majoring in film dirction). When he returned to Georgia he joined Internews and Rustavi2 TV companies as a producer and director of different projects. He is a co-founder of producer company of "Artefact Productions."





ფილმოგრაფია:
(ერთობლივი დოკუმენტური ფილმები)
ალცნეი (2009); როგორ გახდა მაია ნადირაძე მრავალშვილიანი დედა (2005); ხიდი (2005); აზილანტები (2004); გზავნილი მთავრობის სახელზე (2003); X დღე ჰაუპვახტში (2003); პოსტ-საბჭოთა საქართველო (2003); პოლიციის აკადემია (2002); ზღვარი (2002);კვალი (2002)
(ვანო არსენიშვილი)
ვაკუუმი (2002, მ/მ); 3 დღე ჯუმბერ ლეჟავასთან ერთად (2002, დოკ.); მირო — გვიანი აჯანყება (2001); რბოლა (2000, მ/მ); ავტობიოგრაფია (2000, მ/მ)

FILMOGRAPHY:
(joint documentaries)
